სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

02 აპრილი, 2025 წელი

# ბრძანება № 01-08/300

## *„2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გადასვლის გამო ბსუ-ს სტუდენტთა სტატუსის შეწყვეტის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 6 მარტის №01-08/50 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ*

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-13 და 66-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის **2010 წლის 4 თებერვლის №10/ ნ ბრძანებით** დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის, „უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შექმნისა და ადმინისტრირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 18 ოქტომბრის №90/ნ ბრძანების, „ბსუ-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების, **„ბსუ-ში მობილობის (შიდა მობილობის) ადმინისტრირების წესის** დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 01 აგვისტოს №01-02/143 ბრძანების, სასწავლო პროცესის დეპარტამენტის დიპლომების გაცემისა და რეესტრის სამსახურის მთავარი სპეციალისტის 2025 წლის 2 აპრილის MES 1250000364565 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გადასვლის გამო ბსუ-ს სტუდენტთა სტატუსის შეწყვეტის შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 6 მარტის №01-08/50 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, №1 დანართს** დაემატოს 47-ე გრაფის სახით ჩანაწერი ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო პროგრამიდან სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადასულ სტუდენტ **ანი ღლონტთან** (პ/ნ 33901084652) დაკავშირებით და **№1 დანართის** 47-ე გრაფა ჩამოყალიბდეს წინამდებარე ბრძანების N1 დანართში აღნიშნული რედაქციით.
2. ბრძანება აისახოს ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში და უმაღლესი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
3. წინამდებარე ბრძანება გაეგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიული პირი-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას.
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (მ. ხალვაში), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, საფინანსო-

ეკონომიკურ დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე აროშიძე

*„2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გადასვლის გამო ბსუ-ს სტუდენტთა სტატუსის შეწყვეტის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 6 მარტის №01-08/50 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ"*

*ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 02 აპრილის №01-08/300 ბრძანების*

*N1 დანართი*

.„2024-2025 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში გადასვლის გამო ბსუ-ს სტუდენტთა სტატუსის შეწყვეტის შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 6 მარტის №01-08/50 ბრძანების №1 დანართს** დაემატა 47-ე გრაფის სახით ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ქართული ფილოლოგიის" საბაკალავრო პროგრამიდან სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გადასულ სტუდენტ **ანი ღლონტთან** (პ/ნ ) დაკავშირებით შემდეგი ჩანაწერი:

| № | სახელი | გვარი | პირადი ნომერი | ბსუ-ს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული /პროგრამა, საიდანაც გადავიდა ბსუ-ს სტუდენტი | სწავლის საფეხური, რომელზეც განხორციელდა მობილობა | სხვა უსდ-ს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული, სადაც გადავიდა ბსუ-ს სტუდენტი | მისანიჭებელი კვალიფიკაცია სხვა უსდ-ში | სხვა უსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა, სადაც გადავიდა ბსუ-ს სტუდენტი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 47 | ანი | ღლონტი | ) | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა/ქართული ფილოლოგია | ბაკალავრიატი | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა | ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ინგლისურ ფილოლოგიაში | ინგლისური ფილოლოგია |